



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა  
საბჭო

საკოორდინაციო შეხვედრა ლგბტ თემის უფლებრივ  
მდგომარეობასთან დაკავშირებით COVID-19-ის კრიზისულ  
პერიოდში

15 მაისი, 2020 წელი

შეხვედრის ოქმი

**შეხვედრის თავმჯდომარე:** ლელა აქიაშვილი - პრემიერ მინისტრის  
მრჩველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის  
საკითხებში

**გადაწყვეტილებები/შემდგომი ნაბიჯები:**

- მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა საბჭო  
შეიმუშავებს COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის ლგბტ ადამიანების  
საჭიროებებზე საპასუხოდ სწრაფი რეაგირების მექანიზმის მოდელს და  
შესთავაზებს ჯგუფის წევრებს.
- ლგბტ თემის გრძელვადიან პრობლემებზე ეფექტურად საპასუხოდ,  
ადამიანის უფლებათა საბჭო მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად  
და სხვა რელევანტური აქტორების ჩართულობით, გააგრძელებს  
გრძელვადიანი პროგრამის კონცეფციაზე მუშაობას.

**დანართები**

დანართი N1. მონაწილეთა სია

**დისკუსია:** შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, **ლელა აქიაშვილმა**. საუბრისას აღინიშნა, რომ შეხვედრას პირველად შეუერთდნენ ტრანსგენდერი ქალები. ლელა აქიაშვილმა მათთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. ასევე მიესალმა საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებს. საქართველოს მთავრობა COVID-19-ის პანდემიის მიერ გამოწვეულ კრიზისულ პერიოდში განუწყვეტლივ მუშაობს მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებასა და მათი საჭიროებების შესწავლაზე და, ბუნებრივია, მათ უშუალო დახმარებაზე. კრიზისის დაწყებისთანავე გამოიყო მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებული რისკის ქვეშ შეიძლება მოექცნენ COVID-19-ით გამოწვეული კრიზისიას. მათ შორის, ლგბტ თემის სოციალურად მოწყვლადი წარმომადგენლებიც.

ლელა აქიაშვილმა აღნიშნული შეხვედრის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და შენიშნა, რომ შეხვედრაზე დამსწრეთა ჩართულობა აუცილებელია მთავრობასთან კოორდინირებული თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად და რჩევების მისაღებად, თუ როგორ შეიძლება, ლგბტ თემის წარმომადგენლებისთვის დახმარების მიზნით, შეიქმნას მოკლევადიანი პროგრამები, რომლებიც უშუალოდ კრიზისზე საპასუხოდ იქნებიან მიმართული და როგორ შეიძლება მოხდეს ამ დახმარების კოორდინაცია და რესურსების სამართლიანი დაგეგმვა-განაწილება. ასევე გამოთქვა მზაობა და სურვილი გრძელვადიანი, სერვისებზე ორიენტირებული პროგრამების შექმნისა და დანერგვის შესახებ მუშაობაში ჩართულობისთვის მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან.

სიტყვა გადაეცა ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის წარმომადგენელს, **ეკა წერეთელს**, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზებისთვის ლელა აქიაშვილს, და აღნიშნა, რომ COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პირობებში, ლგბტ ადამიანები ყველაზე მოწყვლად ჯგუფად შეიძლება იქნენ აღქმული და მათი მდგომარეობა დროთა განმავლობაში, კრიზისის მსვლელობისას, უარესდება. მისი აზრით, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესია სწრაფი რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბება, ვინაიდან რეგიონებში მცხოვრები ლგბტ ადამიანების მოთხოვნილებებსა და სოციალურ საჭიროებებს ადეკვატური პასუხების გაცემა სჭირდება მთავრობის მხრიდან. მან მწუხარებით აღნიშნა, რომ მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში არ არის ლგბტ ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ღიად საუბარი, ლგბტ ადამიანებს კი ბევრი ისეთი საჭიროება აქვთ, რომელიც ამ გეგმების მოქმედების არეალიდან მათ გამორიცხავს. მაგალითად, მათ არ აქვთ საცხოვრისი, შესაბამისად, ვერ მიმართავენ დახმარებისთვის, რეგისტრაციის ადგილის მითითებით, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას. ასევე არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, ისინი დასაქმებულები იყვნენ მომსახურების სფეროში და ამის დამადასტურებელი საბუთიც არ გააჩნიათ. მან აღნიშნა, რომ ჰუმანიტარული დახმარება აუცილებელია, მაგრამ საცხოვრისის პრობლემა ასევე მწვავედ დგას. მნიშვნელოვანია, რომ

სახელმწიფო მათ კრიზისულ ცენტრებსა და თავშესაფრებს სთავაზობს, მაგრამ თავშესაფრის შემდეგომი პერიოდსთვის მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის გონივრული გეგმა არ არსებობს. შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ ქირის სუბსიდიაზე იფიქროს, როგორც ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ზომაზე. ლგბტ ადამიანების საჭიროებებზე სწრაფი რეაგირებით მათი მდგომარეობა დროებით გაუმჯობესდება, თუმცა საჭიროა გრძელვადიანი სოციალური პროგრამის შემუშავება სახელმწიფოს მხრიდან.

სიტყვა გადაეცა ასოციაცია „ბროწეულის“ წარმომადგენელს, **გოჩა გაბომეს**, რომელმაც აღნიშნა, რომ აივ დადებითი ლგბტ ადამიანები არიან განსაკუთრებულად მოწყვლადები კოვიდ-19-ის კრიზისის პირობებში, ვინაიდან მათ უწევთ დიაგნოზისა და ასევე იდენტობის დამალვა საკუთარ ოჯახებშიც კი. ისინი ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლი შიდსის ცენტრში და არ აქვთ მედიკამენტებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა. შენიშნა, რომ მათთვის საერთაშორისო დონორებს მიერ დაფინანსებული უფასო მედიკამენტებიც არის ძნელად მისაწვდომი. მან ასევე აღნიშნა, რომ მთავრობის წარმომადგენლები მათთან კომუნიკაციას თავს არიდებენ. მას კომუნიკაცია ჰქონდა კრიზისული პერიოდის დასაწყისში შიდსის ცენტრის ხელმძღვანელობასთან, რეგიონებში მყოფი ლგბტ თემის აივ დადებითი წარმომადგენლებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უზრუნველყოფილი უფასო მედიკამენტების მიწოდების საკითხთან დაკავშირებით, და მწუხარება გამოთქვა შიდსის ცენტრისა და ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტის მონოპოლისტური მახასიათებლების გამო. მან აღნიშნა, რომ ის ჩართულია აივ დადებითი ადამიანების გლობალური ქსელის მიერ ორგანიზებულ კამპანიაში, რომლის მიზანია, არავინ დარჩეს ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიღმა და მოუწოდა დამსწრეებსა და დონორ ორგანიზაციებს თანამშრომლობისკენ.

**ლელა აქიაშვილმა** აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამჟამად ყურადღება გამახვილდეს მცირე მასშტაბის მქონე პროგრამებზე, მაგალითად, აუცილებელი მედიკამენტების მიწოდებაზე თემის წარმომადგენლებისთვის, და სხვა აუცილებელი სერვისების უზრუნველყოფაზე, რომ მყისიერი რეაგირება მოხდეს კრიზისზე საპასუხოდ, ხოლო შემდგომში აუცილებელია გრძელვადიანი სერვისების ჩამოყალიბებასა და გამართვაზე მსჯელობა. ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის მე-15-ე თავი, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის თებერვალში, ითვალისწინებს, სწორედ, ლგბტ თემის უფლებებზე აქცენტირებასა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის დამკვიდრებას. ეს თავი ასევე ითვალისწინებს ჯანდაცვის სერვისების მორგებასა და გაუმჯობესებას მოცემული კუთხით, პროტოკოლების შედგენასა და გაიდლაინების გაწერას ჯანდაცვის სფეროში მომუშავეთათვის.

სიტყვა გადაეცა **ვერონიკა დადიანს**, ტრანსგენდერ ქალს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც უზრუნველყვეს ბინის ქირის ხარჯების მობილიზება თემის წარმომადგენლებისათვის კრიზისის პირობებში. მან შენიშნა, რომ მთავრობის მხრიდან აწყდება გულგრილ დამოკიდებულებას მისი თემის პრობლემების მიმართ. აღნიშნა, რომ მთავრობა არ იაზრებს მათ პრობლემებს და არ განიხილავს ტრანსგენდერ ქალებს

მოწყვლად ჯგუფებში. გამოთქვა მწუხარება, რომ მის მიერ გამოყენებული იქნა მთავრობის მიერ შეთავაზებული რაიონულ ცენტრებში/მუნიციპალიტეტებში გადამისამართების საშუალებით დახმარების მიღების მეთოდი, მუნიციპალიტეტებმა კი მას უარით უპასუხეს, ვინაიდან იმ კონკრეტული რაიონის ტერიტორიაზე არ ცხოვრობდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტრანსგენდერი ადამიანები სტერეოტიპებისა და ფობიური დამოკიდებულების გამო, განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში, ვერ მიმართავენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დახმარების თაობაზე. შენიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების დახმარების გარეშე, ისინი ჰომო და ტრანსფობიურად განწყობილი ადამიანების წინაშე ქუჩაში დარჩებოდნენ. მან გულისხმიერების იმედი გამოთქვა მთავრობის მხრიდან.

სიტყვა გადაეცვა სოციალურ მუშაკს, **ქეთევან ხუციშვილს**, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი სურვილია მეტად პრაქტიკული ნაბიჯების შემუშავება ლგბტ თემის პრობლემების მოსაგვარებლად. გამოთქვა გარკვეულ კითხვებზე პასუხების მიღების იმედი მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ ვითარებაშიც, არაკრიზისულ პერიოდშიც, ზოგადი მიმართვიანობა ლგბტ თემის წარმომადგენლების მხრიდან იზრდება. ეპიდემიის ფარგლებში კი ეს რიცხვი ორმაგდება. ის დაინტერესდა, თუ იგეგმება კიდევ ახალი მოწყვლადი ჯგუფებისა და ადამიანებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება.

**ლელა აქიაშვილმა** აღნიშნა, რომ იგეგმება ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების სხვა კამპანიებიც. ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს წითელი ჯვრისა და ასევე სხვა დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომ მობილიზდეს რესურსები და სწორად გადანაწილდეს მოწყვლად ადამიანებზე. დამატებითი საკვები და ჰიგიენური პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით ხშირად მიმართავენ მთავრობის ადმინისტრაციასაც სხვადასხვა წყაროებიდან და აღნიშნა, რომ ეს ტენდენცია მატულობს, ამიტომ კარგად აცნობიერებს მოცემული საკითხის სიმწვავეს. ხაზი გაუსვა, რომ თანამშრომლობა გრძელდება წითელ ჯვართან, რადგან ეს ორგანიზაცია ფართო წარმომადგენლობით მუშაობს რეგიონებში და ამ კუთხით, საუკეთესოადაა პოზიციონირებული.

**ქეთევან ხუციშვილმა** აღნიშნა, რომ პრაქტიკული ნაბიჯების დაგეგმვა წითელ ჯვართან ერთად არის აუცილებელი და დაინტერესდა, თუ გამოიძებნება საშუალება იმისა, რომ ადამიანები უშუალოდ წითელ ჯვარს დაუკავშირდნენ პირდაპირ, ბენეფიციართა სიების გარეშე. ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ არ მუშაობს წითელი ჯვრის ცხელი ხაზი. მან ასევე აღნიშნა, რომ თვითმმართველობის ორგანოებისადმი მიმართვა არის არაეფექტური.

**ლელა აქიაშვილმა** აღნიშნა, რომ ცხელ ხაზზე, 144, უამრავი ზარი შემოდის მსგავსი ფაქტების შესახებ, ამიტომ საჭიროა ორგანიზებულად მოხდეს მოწყვლადი პირების სიების მიწოდება უშუალოდ მთავრობის ადმინისტრაციისთვის, რომელიც შემდგომში დღის განმავლობაში ორჯერ მიაწვდის ამ სიებს წითელ ჯვარს. საჭიროა მხოლოდ ადამიანების სახელის, ტელეფონის და

მისამართის მიწოდება. შესაძლებელია საცხოვრებელი მისამართი არ მიეთითოს, მაგრამ, როდესაც ამ ადამიანებს წითელი ჯვარი დაუკავშირდება, იმისთვის, რომ სხვა ადგილზე მიუტანოს მათ დახმარება, საჭიროა კონკრეტული სხვა მისამართის მითითება.

სიტყვა გადაეცვა **ლიკა ჯალაღანიას**, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰუმანიტარული დახმარება არ არის ყოვლისმომცველი და მეტად ეფექტური, ვინაიდან მას არ აქვს სისტემური ხასიათი და არაა მხარდაჭერილი ბევრი სხვა სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ. მისი აზრით, ლგბტ თემის პრობლემებზე მუშაობის დაწყება მთავრობაში უფრო მეტად არის პოლიტიკოსების, ან კონკრეტული ინდივიდების პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული და არ წარმოადგენს უშუალოდ სახელმწიფოს პრიორიტეტს არამარტო კრიზისულ, არამედ არაკრიზისულ ვითარებაშიც. აღნიშნა, რომ პოლიტიკოსების მხრიდან არ მოუხმენია ლგბტ თემის მიმართ გაჟღერებული მხარდამჭერი განცხადებები. მისი აზრით, უნდა შეიქმნას შიდაუწყებრივად მომუშავე ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს გრძელვადიან პროგრამებს, მასში კი ჩართულები უნდა იყვნენ ლგბტ თემის წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. ასევე შენიშნა, რომ სახელმწიფომ ასევე უნდა გადაიზაროს ლგბტ ადამიანებისთვის მედიკამენტების მიწოდებისა და, ზოგადად, ჯანდაცვის სერვისების მიწოდების პოლიტიკაც. ასევე გამოთქვა მწუხარება სოციალური მუშაკების რაოდენობის შემცირებასთან და მათი სამუშაო პირობების არაადეკვატურობასთან დაკავშირებით.

სიტყვა გადაეცა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, **ანა ილურიძეს**. მან აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, რომელმაც შექმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფები, უნდა ასევე ჩამოაყალიბოს ლგბტ თემებზე სამუშაო ჯგუფიც, რომელიც გაწევს კოორდინაციის ფუნქციას, და მასში უნდა იყვნენ ჩართულები თემის წევრები, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა აღიაროს, რომ ლგბტ თემის პრობლემების უკუგდება უკვე დაუშვებელია.

დისკუსიაში ჩაერთო **ბექა გაბადაძე**, რომელმაც აღნიშნა, სხვადასხვა სახელმწიფოების გამოცდილება საცხოვრისის უზრუნველყოფის კუთხით, რაც გულისხმობს იაფი ქირის ე.წ. სოციალური სახლების არსებობას ლგბტ თემის წარმომადგენლებისთვის, რაც ჯერ-ჯერობით საქართველოში არაა დანერგილი. მისი აზრით, ეს შეიძლება იყოს ლგბტ ადამიანებისთვის საცხოვრისების პრობლემის სისტემური გადაწყვეტა. აღნიშნა, რომ შიდსის ცენტრს წლების განმავლობაში არ ჰქონდა საკუთარი შენობაც კი. ასევე მისი ე.წ. ბოქსები არის არაადეკვატურ მდგომარეობაში, სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, უნდა ჩაატაროს განახლებითი და სარემონტო სამუშაოები და შექმნას შესაბამისი პირობები. ასევე გაამახვილა ყურადღება სოციალური მუშაკების რესურსების სიმწირეზე ლგბტ ადამიანების პრობლემებზე ადეკვატურად საპასუხოდ.

სიტყვა გადაეცა **ქეთევან ბახტაძეს**, რომელმაც აღნიშნა, რომ თავშესაფრებთან დაკავშირებული საკითხები უკვე იქცა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანად. ის ხედავს რისკებს ამ

თავშესაფრების ამოქმედების კონცეფციის შექმნასა და ფუნქციონირებაში და ხაზი გაუსვა ადგილობრივი და სათემო ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობას ამ პროცესში, ვინაიდან არსებობს რისკები, რომ თავშესაფრები არ იქნება ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც ეს რეალურად ესაჭიროებათ. ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ხელისუფლების მხრიდან არ უნდა დაერქვას დახმარება იმ პროდუქციის მიწოდების საქმეს, რომელიც ადამიანებისთვის აუცილებელი საჭიროებაა, ვინაიდან კრიზისულ პირობებში ადამიანების ჯანმრთელობისა და ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფა არის სახელმწიფოს ვალდებულება. ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს ლგბტ მოქალაქის საზოგადოებაში ინტეგრირების პრაქტიკულ გზებს, რათა, საბოლოოდ, მათ შეძლონ თავის რჩენა არა სექსმუშაკობით, არამედ სხვა საქმიანობით. მისი აზრით აუცილებელია, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისკენ მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერულ და ლგბტ საკითხები, ეს საკითხები ასევე უნდა იყოს ინტეგრირებული ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში. შენიშნა, რომ თუ ჰუმანიტარული დახმარება გაგრძელდება, რესურსების არსწორი ხარჯვის თავიდან ასაცილებლად, სხვადასხვა თემის წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა სახის დახმარების პაკეტი უნდა შეიქმნას, მორგებული მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე.

დისკუსიაში ჩაერთო **გოჩა გაბოძე**, რომელმაც აღნიშნა, რომ შიდსის ცენტრი წარმოადგენს კერძო დაწესებულებას და იქ არსებული პირობები დიდი ხანია არაადეკვატურ მდგომარეობაშია, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისა და ყურადღების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი.

**ლელა აქიაშვილმა** აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს აქვს ოთხი პრიორიტეტული მიმართულება, რაზეც განსაკუთრებით გამახვილდება 2020 წლის განმავლობაში ყურადღება. ესენია: გენდერული თანასწორობის საკითხები და ქალთა უფლებების დაცვა, ბავშვთა უფლებების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის დამკვიდრება. აღნიშნა, რომ ის პირადადაა ჩართული ამ ოთხი მიმართულების ფუნქციონირებაში. აღნიშნა, რომ იმ ადამიანებს, ვისაც არ სურთ მიმართონ პოლიციას ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით, შეუძლიათ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების თაობაზე მიმართონ მთავრობის ადმინისტრაციაში დაფუძნებულ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების კომისიას. ასევე, მეტი ქმედითობის უზრუნველსაყოფად, იგეგმება ცვლილება, რომლის შემდგომაც, კრიზისულ ცენტრებშივე იქნება მსხვერპლის სტატუსის მიღება შესაძლებელი, რათა მსხვერპლებმა მარტივად მიიღონ კონკრეტული ჯანდაცვისა და სხვა სახელმწიფო სერვისები. აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა საბჭოს მეოთხე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, რომელიც ანტიდისკრიმინაციული და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის დამკვიდრებას გულისხმობს, შეიძლება უწყებათაშორისი ჯგუფის ჩამოყალიბება. ზოგადად, ამ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი უკვე არსებობს, თუმცა გადასაწყვეტია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმით და რომელი უწყების დაქვემდებარებაში გააგრძელდეს ის ფუნქციონირებას. სამოქმედო გეგმის მე-15-ე თავის მიღება, სწორედ, ყველა უწყებასთან თანამშრომლობის შედეგად მოხდა, შესაბამისად, ამ საკითხებზე

მუშაობა მიმდინარეობს უწყებებთან თანამშრომლობით. აღნიშნა, რომ კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფომ უკვე წლის ბოლოს ჩამოაყალიბოს ლგბტ თემისთვის თავშესაფრის მოწყობის კონცეფცია-მოდელი მორგებული საქართველოში არსებულ რეალობასთან, ყველა სარისკო ფაქტორის გათვალისწინებით. მან მოუწოდა დამსწრეებს, რომ სასწრაფო რეაგირების მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე გაემახვილებინათ ყურადღება, და შემოეთავაზებინათ მოსაზრება, სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა და რესურსების სწორი და სამართლიანი გადანაწილების შესახებ, კონკრეტული თემის წევრებისთვის.

სიტყვა გადაეცა **ეკა წერეთელს**, რომელმაც აღნიშნა, რომ რესურსების სამართლიანი განაწილება არის რთული საკითხი და ეს მთავრობის მნიშვნელოვან მიზნად უნდა იყოს დასახული. პირველ რიგში, მისი აზრით, აუცილებელია, რომ ანტიკრიზისული გეგმის მიღმა დარჩენილი მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს გაეწიოთ დახმარება. მათ უნდა ჰქონდეთ დაცულობის განცდა და სახელმწიფოსადმი მიმართვის სურვილი. საცხოვრისებზე მსჯელობისას კი, ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთგვარი გზის პოვნა არაა სწორი, ვინაიდან არსებობს ინდივიდუალური გარემოებები და ყველა ლგბტ ადამიანი თავშესაფარში ვერ, ან არ შეიძლება განთავსდეს. აღნიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფოს ყველა რეგიონში ჰქონდეს ორგანო, რომელიც დაეხმარება ამ ადამიანებს, რათა არ მოუწიოთ დედაქალაქში ჩასვლა მის მისაღებად. არსებობს სამი ძირითადი პირობა, რომლის მიწოდება პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს: საკვები და ჰიგიენური პროდუქცია, მედიკამენტები და საცხოვრისი.

სიტყვა გადაეცა **ნინო ბოლქვაძეს**, ორგანიზაცია თანასწორობა 17-ის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებობს საფუძველი, რის გამოც ლგბტ თემი არის მოწყვლადი: ეს არის იდენტობის ძალვის იძულება და საჯარო გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების არქონა. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს მხოლოდ პოლიტიკურ მზაობას გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბამისად, ამ საკითხის გადადება არაა მიზანშეწონილი. მან მაღლობა გადაუხადა ლელა აქიაშვილს, 17 მაისის თემასთან დაკავშირებულ შეხვედრაში მონაწილეობაზე თანხმობისთვის.

სიტყვა გადაეცა **ნატა ფერაძეს**, პარტიზან მებაღეს, რომელმაც აღნიშნა, რომ მას შეხება აქვს ტრანსგენდერ სექსმუშაკ გოგონებთან კრიზისულ პერიოდში და, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ნიდერლანდების საელჩოს ფინანსური დახმარებით, შესამღებელი გახდა ტრანსგენდერი ქალებისთვის ბინის ქირის ხარჯის დაფარვა. ეს ადამიანები იგივე პრობლემის წინაშე დგებიან ყოველთვიურად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტრანსგენდერ ბენეფიციართა სიების მომზადების პროცესი ექვის ქვეშ დგება. რთულია ამ სიის შედგენა, და პრობლემურია ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ტრანსგენდერ სექსმუშაკებს შორის, შესაბამისად, სიების შედგენა მათთან გახსნილი კომუნიკაციის მეთოდით მარტივად გადაიჭრება. ხოლო პრემიერ მინისტრის მრჩევლის, ლელა აქიაშვილის, ან მთავრობის სხვა წარმომადგენლის ჩართულობა ნდობას გაამყარებს ამ ადამიანებში. ასევე მოუწოდა დონორ ორგანიზაციებს დახმარებისკენ, ვინაიდან, იმისთვის, რომ ტრანსგენდერმა ქალებმა კრიზისი გადალახონ, აგრო

ბიზნესის განვითარებაზე დაიწყეს მსჯელობა, და სურთ დასაქმდნენ და მოაწყონ აგრო-ბაზრობები თავის რჩენის მიზნით.

სიტყვა გადაეცა **ნიკოლო ღვინიაშვილს**, რომელმაც აღნიშნა, რომ თანასწორობის მოძრაობისა და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის სოციალურ მუშაკთა ბაზაში არის 75 ტრანსგენდერი ადამიანი, აქედან 8 არის მამაკაცი და დანარჩენი ტრანსგენდერი სექსმუშაკი ქალი. მხოლოდ 15 ადამიანია რეგიონების მასშტაბით მოძიებული. აღნიშნა, რომ საცხოვრისი და სხვა დასმული პრობლემები არა მხოლოდ ტრანსგენდერ ადამიანებს, არამედ მთელ ლგბტ თემს უდგას და ისინიც არანაკლებ მძიმე პირობებში ცხოვრობენ. შენიშნა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები არსებულ სიებს ემატებიან ეტაპობრივად, მაშინ, როდესაც ისინი გებულობენ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები სხვა ტრანსგენდერ ადამიანებს უკვე დაეხმარნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ის პირები, რომლებიც საკუთარ იდენტობას მალავდნენ, ეს გამოააშკარავეს უკიდურესი გაჭირვების გამო. მისი აზრით, პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომაა საჭირო.

**ლელა აქიაშვილმა** მაღლობა გადაუხადა შეხვედრის ყველა დამსწრეს, ლგბტ თემის წარმომადგენლებს, აქტივისტებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ელჩებსა და თარჯიმანს თანამშრომლობისა და შეხვედრაში მონაწილეობისთვის. აღნიშნა, რომ მსგავსი სახის შეხვედრები და მათთან კომუნიკაცია კვლავ გაგრძელდება. მოცემულ ეტაპზე რესურსებისა და დახმარებების სამართლიანი გადანაწილების მექანიზმზე მიმდინარეობს მუშაობა და ამ პროცესში, ისევე როგორც გრძელვადიანი პროგრამების ჩამოყალიბებაში თემის ჩართულობას გაესვა ხაზი.



დანართი N1. შეხვედრის დამსწრეთა სია

სახელი, გვარი	უწყება/ორგანიზაცია
ანა ილურიძე	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
ბენედიქტ ჰოსეკი	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
ბექა გაბადაძე	სამოქალაქო აქტივისტი, ორგანიზაცია „თანადგომა“
გიორგი ბედლიძე	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო
გიორგი თაბაგარი	თბილისი პრაიდი
გოჩა გაბოძე	ასოციაცია „ბროწეული“
გულიკო მაჭარაშვილი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო
ეკა წერეთელი	ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
ეკატერინე ბოკუჩავა	„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID-PROLoG)
ელენე ქაიხოსროშვილი	კონსულტანტი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
ვეროკინა დადიანი	ტრანსგენდერი აქტივისტი
თათია ქინქლაძე	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
ივონე გოგოლი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
ლელა ლომია	ნიდერლანდების სამეფოს საელჩო
ლიკა ჯალაღანია	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
მარკო სოლდიჩი	ნორვეგიის სამეფოს ელჩის მოადგილე
მაიკე ვან კოლდამი	ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში
ნაია ბეგაშვილი	ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
ნატა ფერაძე	„პარტიზანული მებაღეობა თბილისში“
ნიკოლო ღვინიაშვილი	თანასწორობის მოძრაობა
ნინო ბოლქვაძე	თანასწორობა 17
ნინო ხარჩილავა	ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
ქეთევან ბახტაძე	ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
ქეთევან ხუციშვილი	სოციალური მუშაკი, ორგანიზაცია „იდენტობა“
ხატია ქარდავა	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
ხუან აპარისიო	ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო